

დავით გაბუნია

ბერავი

პერსონაჟები:

სოსო

სოსოს დედა

სოსოს მამიდა

სოსოს თანამშრომელი მარიკო

ექიმი ცირა ურიდია

სოსოს საცოლეს ნათია

მეძავი გოგო მზია

სოსოს მამის აჩრდილი

სოსოს კლასელი ბიჭები (11-12 წლის სამი ბიჭი)

სოსოს უფროსი ბიძაშვილი ბიჭები (20-25 წლის სამი ბიჭი)

სამი ხმა

— ტირე მიუთითებს ახალ ხმას

ყველა როლი ნაწილდება 1 მამაკაც და 3 ქალ მსახიობზე. პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ სოსო და სოსოს მამა შესრულებულ იქნას ერთი და იმავე მსახიობი მამაკაცის მიერ. ასევე მნიშვნელოვანია შემდეგი განაწილება:

ერთი მსახიობი ქალი თამაშობს სოსოს დედას და მეძავ გოგო მზიას;

ერთი მსახიობი ქალი თამაშობს ექიმ ცირა ურიდიას და სოსოს საცოლეს ნათიას;

ერთი მსახიობი ქალი თამაშობს სოსოს მამიდას და თანამშრომელ მარიკოს.

ყველა დანარჩენი როლი ნაწილდება რეჟისორის სურვილისამებრ.

სცენა 1. ვინ არის ის?

*(სოსო ზის დიდ სანოლზე და ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილ სტატიებს
კითხულობს. ბევრი აქვს, ზღვა. კითხულობს და აშკარაა, არცერთი არ მოსწონს, არ
აკმაყოფილებს)*

ხმები:

- ვინ არის ის?
- რა უნდა?
- რამდენი წლისაა?
- ოცდაათის, ან იქნებ ოდნავ ნაკლების.
- კაცია.
- ნამდვილად, მამრობითი სქესის.
- მწვევლია?
- საკმაოდ ბევრს ენევა, ვერაფრით ვერ გადაეჩვია.
- მანქანაც აქვს, ძველი 1999 წლის გამოშვება.
- რაღაც გერმანული მარკის, მეორადი.
- დაოჯახებულია?
- არა, არც ცოლი ჰყავს და არც შვილები.
- ჯერჯერობით.
- რას ელოდება?
- ხელსაყრელ დროს. ზუსტ დროს.
- მუშაობს.
- კი, ნამდვილად. სიტყვებთან მუშაობს.
- გიჟდება გრამატიკაზე.
- სტილის გრძნობა აქვს.
- დახვეწილად მეტყველებს.
- რაც ძალიან იშვიათია ამ თაობაში.
- პროფესია აქვს ასეთი, ნუ გიკვირს.
- რა პროფესიაა ამისთანა?
- ზუსტად არ ვიცი. ალბათ, რედაქტორია.
- სისხლში ჰქონია, ესე იგი.

- რითია გამორჩეული.
- არაფრით, ისეთია, როგორიც ყველა.
- მხოლოდ ზომაზე მეტად უყვარს გრამატიკა.
- ჰო, და თან, სტილის გრძნობა აქვს.
- ესმის საკითხი.
- რა უნდა, სად არის?
- ეგ ვინმემ იცის?
- ბაბუის სახელი ქვია.
- არ აურჩევია, ასე დაარქვეს.
- რა ქვია?
- გიორგი, ნიკოლოზი, ზურაბი, ირაკლი, მათე, თორნიკე, დავითი – გამაჩერეთ-ილია, აკაკი, ვაჟა, შოთა, გალაკტიონი, დემეტრე, აბესალომი, ედუარდი, მიხეილი, ზვიადი, ბიძინა, თემური, რობერტი, სანდრო, კოტე, ლევანი, პოლიკარპე, სერგო, იოსები!
- იოსები ქვია. ბაბუის სახელი.
- როგორ გგონიათ, თავისი სახელით კმაყოფილია?
- კაცმა არ იცის.
- იოსებს ეძახიან?
- არა, სოსოს.
- სოსო. ჩვეულებრივი სახელია.
- მის თაობაში საკმაოდ იშვიათი.
- 30 წლისაა, ან ცოტა ნაკლებს.
- თითქმის 30-ის. ასეთი სიზუსტე რა საჭიროა.
- რას ამბობ, სოსოს უყვარს სიზუსტე.
- ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაარქვას.
- ზუსტად და სწორად.
- 30 სექტემბერს გახდება 30 წლის.
- ოქროს დაბადების დღეა.
- აღნიშნავს?
- არ უყვარს პომპეზურობა.
- ხალხში გარევა არ უყვარს.

- ცალკე ცხოვრობს.
- ქვრივი დედა და გაუთხოვარი მამიდა ჰყავს.
- სოსოს?
- იქნებ მათთან ერთად ცხოვრობს.
- არა, ცალკე, თავისთვის – ერთოთახიან ნაქირავებ ბინაში.
- სადღაც საბურთალოზე.
- საბურთალო დიდია.
- სადღაც საბურთალოზე-მეთქი.
- ჰო, კარგი.
- რა უნდა სოსოს?
- სოსომ იცის?
- ალბათ, იცის.
- რას კითხულობს?
- სტატიებს.
- “საუზმისას რეგულარულად მიირთვით არაჟანი, ხაჭო ან მანონი. თერაპიული ეფექტი არაჟანს მეტი აქვს. ასევე, სასურველია, თოხლოდ, წყალში მოხარშული კვერცხი – მინიმუმ ორი ცალი ყოველ დილით.” (სოსო გადააგდებს სტატიას, იღებს ახალს)
- “200 გრამი ნიგოზი გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, ან ძალიან წვრილად დაჭერით, გაურით 10 სუფრის კოვზი ნატურალური თაფლი, მიღებული მასა მოათავსეთ ქილაში და მჭიდროდ დაახურეთ თავი. მიიღეთ თითო სუფრის კოვზი უზმოზე. კურსის ხანგრძლივობა 10 დღეა. სასურველი ეფექტის არქონის შემთხვევაში კურსი გაიმეორეთ”. (სოსო გადააგდებს სტატიას, იღებს ახალს)
- “ჯანჯაფილის ნაყენი უებარი საშუალებაა. 200 გრამი წვრილად დაჭრილი ჯანჯაფილი გარეცხეთ ცივ წყალში, გადანურეთ და დაასხით ოდნავ გაგრილებული, ანადუღარი წყალი – დაახლოებით 3 ჩაის ჭიქა. დააცადეთ გაციება, შედგით მაცივარში, სამკურნალო თვისებები რომ არ დაკარგოს. მიიღეთ დილა-სალამოს, ჭამის წინ.” (სოსო გადააგდებს სტატიას, იღებს ახალს)
- “პროსტატის ჯირკვლის მექანიკური სტიმულირება შინაურ პირობებშიც იოლი გასაკეთებელია. მოგრძო, წვრილ და არადრეკად წკირზე წამოაცვით...” (სოსო გადააგდებს სტატიას. იღებს ახალს)
- “ტრადიციულ მედიცინაში გავრცელებულია სასქესო ორგანოს და მიმდებარე არეების ახლადდაკრეფილი ჭინჭრით დასუსხვა...” (სოსო შეშფოთებული გადააგდებს სტატიას, იღებს ახალს.)

— “სასურველი ეფექტის მიუღწევლობის შემთხვევაში, სასურველია, მიმართოთ ექიმს.” (პაუზა)

სოსო: ტავტოლოგია. სასურველია, ხო, ვიცი, რომ სასურველია. ვინ წერს ამ სტატიებს, საიდან იგონებენ, ან ქართულს ვინ ასწავლის ამ ხალხს? მიმართეთ ექიმს.

— მოიცა, მოიცა, რა ხდება?

— ხდება კი არა, უკვე მოხდა.

— უცბად, მოულოდნელად.

— აგვისტოა. აუტანლად ცხელა.

— ბაკურ სულაკაურის მთელი გამომცემლობა შვებულებაშია.

— მხოლოდ ორნი მუშაობენ. სოსო და მარიკო. (ხმებს გამოეყოფა „მარიკო“)

— არედაქტირებენ ყველაფერს, ყველას ნაცვლად.

— რაც ეკუთვნით და არ ეკუთვნით.

მარიკო: მარიკო შესვენებაზე გადის. (სოსოს) შესვენებაზე გავდივარ, საჭმელად. ”ქალთა ბედნიერების” აგვისტოს ნომრის ტექსტებს შენ გიტოვებ. (გადის)

— ყველაზე მეტად რაც ეჯავრება სოსოს, ყველაზე მეტად.

— ქალთა ჟურნალის ტექსტები.

— ღმერთო.

— როგორი უვნებელია სოლარიუმი.

— როგორ უნდა ჩაიცვა სამი ზომით პატარა ჯინსის შარვალი ლოგინზე ნამონოლით.

— ფრჩხილების მოხატვის უახლესი ტენდენციები.

— როგორ დავიცვათ თმა გაუხეშებისგან, როცა ზღვაზე ვისვენებთ.

— და...

— უცებ.

— საოცარი იდიოტიზმი.

— საოცარი!

სოსო: (კითხულობს სათაურს) ”რამდენად ძლიერი მაჩო გინევთ ლოგინში – 10 რჩევა სიამოვნების მაძიებელ ქალებს”.

— ვინ წერს ასე?

— რა სტილია.

— რა არაპროფესიონალიზმია, ფიქრობს სოსო.

— ავტორი – ექიმი სექსოლოგი, ცირა ურიდია.

— ცირა ექიმი.

სოსო: ვკითხულობ ამ სისულელეს და ზედმეტად დასმულ მძიმეებს ვაშორებ.

— რით ვერ დაიმახსოვრა ამ ხალხმა, რომ ყველა "რომ"-ის წინ მძიმე არ იწერება.

— რა გახდა! განა ასეთი რთულია?

— სოსო გულში აგინებს ყველას.

— გამომცემლობის ყველა თანამშრომელს, ვინც ახლა ზღვაზე ისვენებს.

— ვის ნაცვლადაც მხოლოდ სოსო და მარიკო მუშაობენ.

— ამ სისულელებზე უნდა ცდებოდეს ასეთი კარგი რედაქტორი?

— და უცებ...

— ჰო, ისევ უცებ.

— სოსო ხელახლა კითხულობს სტატიას.

— „რამდენად ძლიერი მაჩო გინევთ ლოგინში“.

— რამდენად ძლიერი.

— მაჩო.

— რაებს წერს ეს ტუტუცი ქალი.

— საერთოდ, ვის რაში სჭირდება ასეთი ჟურნალები?

— ნუთუ ვინმეს მართლა სჯერა, რომ ამ რჩევებით...

— არა, ძლიერი მაჩოო, წარმოგიდგენიათ?

(შემოდის მარიკო)

მარიკო: სოსო, საჭმელი მოგიტანე, სამზარეულოში დაგიტოვე. მიდი, ჭამე. ამას მე გავაგრძელებ (ცდილობს, სტატია ხელიდან ააცალოს).

სოსო: (ყვირის, სტატიას გულზე მიიკრავს) არა! არა! მე თვითონ დავამთავრებ!

მარიკო: (გაოგნებული) კარგი. ყავა დაადგი ბარემ რა.

სოსო: ყავა!

— როგორ წერს ის ქალი? მოიცა, რა ქვია?

— ექიმი სექსოლოგი, ცირა ურიდია.

— ხო, ცირა. ყავა ძლიერი აფროდიზიაკია.

სოსო: სამზარეულოში მეოთხედ ვკითხულობ სტატიას. როგორი ძლიერი მაჩოო. არა, მაინც რა უბედურების ქართულია, ასე ვინ წერს? მარიკოს ყავა მავინწყდება, სტატიას კიდევ ერთხელ ვკითხულობ და უცებ ვხვდები.

- უცებ ხვდება.
- ჰო, ისევ უცებ.
- როდის ჰქონდა ბოლოს სექსი?
- არ ახსოვს.
- ვისთან?
- არც ეგ ახსოვს. ალბათ.
- დიდი ხნის წინ იყო?
- უჭირს გახსენება.
- ესე იგი, დიდი ხნის წინ იყო.
- როგორ, ღამ-ღამობით პორნოს მაინც არ უყურებს?
- ვერ დავიჯერებ.
- დიდი ხანია, აღარ.
- რამდენად ძლიერი მაჩოო, წარმოგიდგენია?

სოსო: ღმერთო!

- მართლაც: ღმერთო! რა სისულელეები წერია ამ სტატიაში, რამ წააკითხა!
- კარგა ხანია.
- რა კარგა ხანია?
- კარგა ხანია, სექსი არ ჰქონია.
- მოდი, კიდევ ერთხელ წავიკითხოთ სტატია. როგორ წერია?
- “დილის უნებლიე ერექცია მამაკაცის სიჯანსაღის ნიშანია”.
- “მსუბუქად სასიამოვნო შეგრძნება შარდვის დროს”.
- არა, რა მოუგონია? რა თქვი, რა ქვიაო?
- ცირა ურიდია!
- ჰო, ექიმი სექსოლოგი, ცირა ურიდია.
- გამომივიდა ეგეც ექსპერტი.
- ვის რა ჯანდაბად სჭირდება ეს სულელური ჟურნალები?

სოსო: დავილუბე!

- 30 წლისაა.
- ახლა უნდა იწყებდეს ცხოვრებას და...
- სადღაა დილის ერექცია. ეჰ.

- ეჰ, და თან, რამდენი ხანია.
- არა, რა სისულელეა, აუცილებლად უნდა შეირთოს ცოლი.
- შვილებიც ეყოლება.
- გოგო და ბიჭი.
- შეიძლება, მესამეც.
- 30 წლისაა და – არ უდგება!

მარიკო: (შორიდან ეძახის) სოსო! სოსო! სოსო!

სოსო: (ფხილზდება) ჰა?!

მარიკო: სადაა ყავა?

სოსო: ჰა, ყავა? ახლავე... შენ იცოდი, რომ ყავა თურმე კაცის პოტენციაზე კარგად მოქმედებს?

მარიკო: რა?

სოსო: აი, ჟურნალში წავიკითხე.

მარიკო: (იცინის) მომეცი, მე გავაგრძელებ. ხომ კარგად ხარ?

სოსო: არა. არავარკარგად.

მარიკო: რა გჭირს?

სოსო: არა ვარ კარგად.

მარიკო: სოსო, რა გჭირს?

სოსო: საშინელება. უარესი რომ არ არსებობს, ისეთი საშინელება.

მარიკო: თუ გინდა, წადი სახლში. საქმეს მე მივხედავ. არ ინერვიულო.

სოსო: მართლა?

მარიკო: კი, კაცო, რა პრობლემაა.

სოსო: მადლობა! ოქრო ხარ! (ლოყაზე კოცნის) დავემშვიდობე და ქუჩაში გამოვედი. სიგარეტს მოვუკიდე. არა, ჩავაქრე. აღარ მოვწევ! მანქანას გავყიდი და სულ ფეხით ვივლი, ვივარჯიშებ სუფთა ჰაერზე – ყველაფერს გავაკეთებ: არაჟანი, ჯანჯაფილი, თოხლო კვერცხი, ნიგოზი თაფლში, ყავა – მექანიკური სტიმულირება, ჭინჭარი.

— "რამდენად ძლიერი მაჩო"

— "ლოგინში"

სოსო: რა სიტყვებია. ასე ვინლა წერს?

— ექიმები და წერა.

— რატომ, ჩეხოვი?

— ბულგაკოვიც, მაგრამ, კარგი რა?!

სოსო: ღმერთო! დავიღუპე. მარიკო, უარესი რომ არ არსებობს, ისეთი საშინელება მჭირს.

— არა, უარესიც არსებობს, ახლავე. სოსოს დედა ურეკავს.

დედა: სოსო, დედა, სადილზე გპატიუებთ მე და მამიდაშენი დღეს. უარი არ მიიღება. მე და მამიდაშენმა წელებზე ფეხი დავიდგით.

სოსო: დედაჩემს უყვარს დრამატული და ცოტა მოძველებული იდიომები.

დედა: მამიდაშენმა რეჰანის კომპოტი გააკეთა, აუცილებლად უნდა გასინჯო.

სოსო: კარგი, დედა, გავსინჯავ.

დედა: სოსო, დედა, რაიმე წესიერი ჩაიცვი, ოღონდ, კარგი?

სოსო: რატომ დედა? რატომ უნდა ჩავიცვა რაიმე წესიერი?

დედა: ეგ არაა შენი საქმე, წვერიც გაიპარსე და ისე მოდი.

სოსო: კარგი, დედა.

დედა: (მამიდას) მოდის! არიქა!

მამიდა: მაგას ენაცვალოს მამიდა! ჩემი ბიჭი!

სცენა 2. გარიგება. ნათია

სოსო: დედაჩემი და მამიდაჩემი ერთად ცხოვრობენ. რძალი და მული. დედაჩემმა და მამიდაჩემმა ერთად გამზარდეს. მამაჩემი ადრე გარდაიცვალა.

დედა: სოსო ჩემი გაზრდილია.

მამიდა: სოსოს უმამობა ერთი წამით არ უგრძენია. როცა მამა არ გყავს, გყავს მამიდა.

დედა: ერთად გავზარდეთ და გზაზე დავაყენეთ, ვამაყოზ ჩემი შვილით. უფრო სწორედ, ჩვენი შვილით.

მამიდა: ენაცვალოს მამიდამ!

სოსო: მ!

მამიდა: რა?

სოსო: ენაცვალოს მამიდა.

მამიდა: ისეთი სადილი გავაკეთე, შენ რომ გიყვარს!

სოსო: კარგია, მომშივდა ამასობაში. დღეს არაფერი მიჭამია.

მამიდა: რატომ მერე? თავს იკლავ ხო?

სოსო: ძალიან ბევრი სამუშაო მქონდა.

დედა: შენი ფერი არ მომწონს. მოხდა რამე?

სოსო: არაფერი. ყველა შვებულებაშია და ბევრი სამუშაო მაქვს.

მამიდა: არ ვარგა ასე, თავს უნდა მიხედო!

სოსო: არ ვჭამთ?

დედა: 2 ნუთიც მოვიცადოთ.

სოსო: ვის ველოდებით?

დედა: აი, ნახავ, მოგეწონება!

მამიდა: უპატიოსნესი გოგოა, კარგი ოჯახიდან, კარგად აღზრდილი. უფროს-
უმცროსი არ ეშლება, ოქროს ხელები აქვს...

სოსო: (აპარტე) აჰა, ველოდი, რომ ამას გამიკეთებდნენ.

დედა: 30 წლის ხარ, დედა, უკვე, დროა მომავალზეც ვიფიქროთ.

მამიდა: აბა, რა! აბა, რა!

დედა: არ დააფრთხო ახლა ის გოგო. მართლა კარგი გოგოა, აი, ნახავ.

მამიდა: მოვიდა!

(შემოდის ნათია)

დედა: უი, რა კარგ დროს მოხვედი, სწორედ ახლა ვაპირებდით სადილობას.

მამიდა: და სრულიად შემთხვევით ჩვენი სოსოც გვეწვია სტუმრად – გაიცანით
ერთმანეთი – სოსო – ნათია.

ნათია: ნათია.

სოსო: სოსო. (უხერხული პაუზა)

დედა: ახლავე გავშლი სუფრას!

ნათია: ვიცოდი, ვიცოდი, რომ მომეწონებოდა. ბუნჩულა, საყვარელი, კეთილი. აი,
ლაბრადორის ლეკვი ნამდვილი. არ ვნანობ არაფერს – აი, ღირდა ლოდინად.

მამიდა: როგორ ცხელა, არა?

ნათია: უჰ, ნამდვილად.

მამიდა: რა უბედურებაა ასეთი სიცხე. აგვისტოში სიცხე გაგონილა?

ნათია: ჰო, წელს განსაკუთრებით ცხელი ზაფხულია.

მამიდა: ჩვენი სოსო მაინც მუშაობს, გაუშვა მთელი სამსახური შვებულებში და თვითონ დარჩა. ფანატიკოსია, ფანატიკოსი.

ნათია: (კდემით) მმმ.

მამიდა: სულ ასე ჩუმად კი არ არის.

ნათია: მმ.

მამიდა: წავალ, მივეხმარები. (გადის)

ნათია: ჰო.

სოსო: ჰო.

ნათია: არა, ჰო.

სოსო: კი.

ნათია: სად მუშაობთ?

სოსო: გამომცემლობაში.

ნათია: რა კარგია.

სოსო: ჰო.

ნათია: მმ.

(შემოდინან დედა და მამიდა)

დედა: მე და მამიდაშენი ხომ გადასარევი მზარეულები ვართ, მაგრამ ნათიაზე იმისთანა ლეგენდები დადის, სასწაულ ჩაქაფულს აკეთებს თურმე.

ნათია: ოჰ, რას ამბობთ, ჩემმა დაქალმა მასწავლა, ნატუკამ. ჩემი რეცეპტი კი არაა.

მამიდა: ჩვენ საოცარი ტოლმა გავაკეთეთ, იმედია, მოგეწონებათ.

სოსო: არაჟანი.

მამიდა: რა?

სოსო: არაფერი.

დედა: უი, არაჟანს მოვიტან ახლავე.

სოსო: ნიგოზი და თაფლიც მოიტანე.

დედა: რა, დედა?

სოსო: თოხლოდ მოხარშული კვერცხი, ორი ცალი.

დედა: სოსო!

სოსო: ჭინჭარიც.

ნათია: სხვათა შორის, მე იმერელი ბებია მყავდა და ისეთი კარგი ჭინჭრის ფხალი იცოდა...

სოსო: ბოდიში, არ მშია მე. კარგად იყავით, წავედი. (გადის)

მამიდა: რა ეტაკა ამ ბიჭს?

ნათია: მე მესმის მისი.

დედა: არა, ნათია, შვილო, ასე უცნაურად არ იქცევა ხოლმე, ეტყობა, ეუხერხულა.

მამიდა: ჩემი ბრალია! ასე უხეშად რა საჭირო იყო.

დედა: ხო, ჩვენი ბრალია, ქალების!

ნათია: არა, ჩემი ბრალია. არ მოვეწონე, როგორც ჩანს.

დედა: ან იქნებ, პირიქით – მოეწონე.

მამიდა: მაგისას რას გაიგებ, ცოტა გულჩათხრობილი ბიჭია.

დედა: ნამდვილი კაცია. უნდა გამოიცნო, რა უნდა. თვალეში უნდა უყურო და გამოიცნო.

მამიდა: ასეა და ყოველთვის ასე იქნება.

ნათია: მე მზად ვარ.

— ნათია მზადაა.

სცენა 3. საიდან დაიწყო?

(სოსოს მამა (იგივე სოსო) და სოსოს დედა საწოლში წვანან, ზენრის ქვეშ)

— ეს კაცი ვინ არის?

— სოსო ჰგავს.

— ეს ქალი?

— დედამისია.

— ნუთუ...?

— არა, რა სისულელეა.

— 1987 წელია. სოსო 3 წლისაა.

— პატარა სოსო ღამე იღვიძებს.

— ფისი უნდა, ალბათ.

— შედის მშობლების ოთახში, თვალეებს იფშვნეტს.

— და რას ხედავს.

— მამა დედას ახრჩობს!

- მამა ახრჩობს დედას!
 - სოსოს ეშინია, ტირის, სანოლზე ძვრება და მუშტებს ურტყამს მამას.
 - სოსოს მამა წამოტყება, მკლავში ხელს წაავლებს ბავშვს და ოთახიდან გაათრევს.
 - სოსო ტირის – არ დაახრჩო დედა.
 - მამა (იგივე სოსო): ვითომ მიხვდა რამეს?
 - დედა: ჩემი სიკვდილი!
 - მამა: კაი ეხა, ბავშვია, რას მიხვდებოდა!
 - დედა: ჩემი სიკვდილი! ჩემი ბრალია. (ტირის)
 - მამა: კაი-მეთქი, გეყოფა!
 - დედა: რა მეყოფა, კაცო, რა! რა საშინელებაა, რატო ვარ ცოცხალი.
 - მამა: ოუუუ, შეჭამა ტვინი! (წამოხტება სანოლიდან და გარბის)
 - სოსოს მამა გაბრაზებულია.
 - ცოტა დამნაშავედ გრძნობს თავს.
 - მანქანას მოახტება, დასალევად მიდის.
 - მაგრად გამოტყვრება.
 - არა, არ დაჯდე საჭესთან!
 - ააა, რას აკეთებ! ფრთხილად!
 - სოსოს მამა იღუპება.
 - დედას არავინ დაახრჩობს!
 - სოსოს დედა ტირის, ტირის, სკდება ტირილით.
 - სოსოს მამიდას შავები აცვია.
 - პატარა სოსოსაც ჩააცვეს შავები და კარში დააყენეს, უფროს კაცებთან.
 - სოსო არ ტირის, სოსოს უხარია.
 - ვითომ, აქედან დაიწყო?
 - არააა. არა მგონია.
 - აბა?
 - სოსო 12 წლისაა. სკოლის ტუალეტში ბიჭები სიგარეტს ეწევიან.
 - რამდენი არიან?
 - ოთხნი, სოსოს ჩათვლით.
- (ხმები გადაინაწილებენ სოსოს კლასელების როლებს)

პირველი ბიჭი: ხოდა, მეც წამიყვანეს რა – უბანში ყავდათ მოყვანილი და შენც წამოდიო.

მეორე: მერე?

პირველი: მომწოვა.

მესამე: მეტი არაფერი?

პირველი: მეტი რა გინდა, ბიჭო?!

მესამე: რა რა მინდა, შეჩემა. მე ეგრე ზემოდან დამაჯდა ირინკა.

მეორე: ვინ ირინკა, ბიჭო? ქეთიო, არ თქვი?

მესამე: ქეთიც და ირინკაც. ორივე მოტყუნული მყავს. (აბოლებს აფექტურ სიგარეტს)

პირველი: არა, ძმაო, არ იყო მაგის ვარიანტი. სტადიონის უკან ვიყავით, ბარაკებში და მანდ ვერ დანვები.

მეორე: აუ, შენ ვაფშე აზზე არა ხარ. რათ გინდა დაწოლა, ისე ვერ გადაკუზზე?

პირველი: მაღალი იყო, ვერ მივწვდებოდი.

მეორე: (სოსოს) შენ რა ქენი?

სოსო: (დუმს)

მესამე: აუ, დაანებე მაგას თავი. ფანჩარი არ ამოსვლია ჯერ.

სოსო: (გაუბედავად) ამომივიდა.

მესამე: აბა, გვარჩენე, თუ ამოგივიდა!

სოსო: არა.

პირველი: მიდი, ხო, მიდი, გვარჩენე.

მეორე: ჰე, მიდი, გვარჩენე იქ რა გაქვს!

(დაეტაკებიან სოსოს, ცდილობენ, შარვალი ჩახადონ, სოსო იბრძვის)

სოსო: არა!!! (სცენა წყდება, ბიჭები ისევ ხმები ხდებიან)

— არა, აქედან არ დანყებულა.

— ცოტა გვიან?

— როდის?

— სოსო 14 წლისაა. დაბადების დღე აქვს, 30 სექტემბერია.

— ბიძაშვილები მოვიდნენ.

— ისევ ბიჭები?

— ჰო.

— კაი, ჯანდაბას. (ხმები ირგებენ ბიძაშვილი ბიჭების როლებს)

პირველი: ჩვენ პატარა ვაჟკაც ბიძაშვილს გაუმარჯოს!

მეორე: შენ გენაცვალე!

მესამე: ჩვენი ჯილა ხარ.

პირველი: არ უნდა შეგვარცხვინო, ხო იცი, ბიჭო!

მეორე: ჰაჰაჰ!

მესამე: რა გაცინებს, შეჩემა?

მეორე: ბიჯო, არაა დრო რო მოვნათლოთ პატარა ბიჭი?

სოსო: მონათლული ვარ მე.

მეორე: ჰაჰაჰა!

პირველი: ბიჯო, მაგარი აზრია, ხო იცი შენ.

მეორე: სოსო, შენი ნათლობა ჩვენზე იყოს.

სოსო: (უმნეოდ) მონათლული ვარ მე.

მეორე: ჰაჰაჰა, მონათლული ყოფილა, ბიჯო.

მესამე: კაი, დაანებეთ თავი, ბავშვია, ტო.

მეორე: ვინაა, ბიჯო, ბავშვი, რო მიუშვა, ვირს დააყვირებს.

პირველი: ხო გიდგება კუტა? გალურჯებამდე ხო ანძრევ?

მეორე: უდგება, აბა, არ უდგება, ჩვენი ჯიგარი ძმაა.

პირველი: კაი, სოსიკ, ნუ გცხვენია, ბრატ – ჩვენც ვიყავით შენხელები.

მესამე: ისე, კია დრო, 14 წლისაა. აქამდეც უნდა გვექნა.

სოსო: მონათლული ვარ მე.

მესამე: არა, სოსო, ძმაკაც – მოგვისმინე ახლა – კაი საჩუქარს გაგიკეთებთ დაბადების დღეზე.

მეორე: შენა, როენასთან?

პირველი: იასნია, მამიდაა! ვიში კლას!

მეორე: მიდი, აბა, დაურეკე.

მესამე: მამაშენი — სადაც არის იქ გაუმარჯოს, მისი კოკა მისი თასი მუდამ სავსე ყოფილიყოს, — ახლა იქიდან გვიყურებს, სოსიკ და უხარია. მოესწრო ბიჭი.

პირველი: აუუ, დავაყლევებთ ბავშვს, თავისი მინეტები და ყველაფერი.

მეორე: ვსიო, ვრეკავთ როენასთან. მაყუთი გაქვთ? ჩვენც ნავიდეთ, ჩვენი ქია გავახაროთ.

მესამე: მე მაქვს.

(სოსოს ისტერიული ტირილი უტყდება)

პირველი: კაი, ტო, რა გჭირს?

(შემოდის სოსოს დედა)

დედა: რა ხდება, დედა?

მესამე: აა, ისა, არაფერი, არაფერი...

დედა: (ეხუტება სოსოს) რა გატირებს, დედა?

(სცენა წყდება, ბიძაშვილები აღარ არიან)

დედა: არ იტირო, დედა, შშშშ.

— სოსო თავისით დავაჟუკაცდა.

— როცა დრო მოვიდა.

— მეორე კურსზე იყო, თუ მესამეზე.

— ყველაფერი ბუნებრივად და ძალდაუტანებლად მოხდა.

— ცოტა შერცხვა, მაგრამ მანქანის უკანა სავარძელზე, თან სიბნელეში, თან კუს ტბაზე – ვინ შეამჩნევდა, რომ განითლდა.

— ვერც ვერავინ ვერ შეამჩნია.

— აბა, საიდან დაიწყო?

— რას გაიგებ.

— სოსომ ცხოვრება გააგრძელა.

— წითელ დიპლომზე დაამთავრა უნივერსიტეტი.

— გოგოები?

— კი, გოგოები იყვნენ. ბევრი არა, მაგრამ იყვნენ.

— სოსო საქმემ გაიტაცა.

— მუშაობდა თავდაუზოგავად. ნორმალური ხელფასიც ქონდა.

— ასეთი სპეციალისტები იშვიათია.

— დედა და მამიდა საშინლად ამაყობდნენ მისით.

— ამაყობდნენ და გეგმებს აწყობდნენ.

— სოსომ ცოლი უნდა შეერთოს.

— სოსოს შვილები უნდა ეყოლოს.

— ერთი გოგო და ერთი ბიჭი.

- შეიძლება – მესამეც?
 - რაის მესამე?
 - ა, არა, ისე ვთქვი.
 - სად გავჩერდით?
 - ნათიას, დედას და მამიდას რომ გამოექცა.
 - მერე?
 - ლამე თეთრად გაათენა. ვერ დაიძინა.
 - განა მხოლოდ ერთი, სამი ლამე არ ეძინა.
 - მერე ექიმთან წავიდა.
 - ვისთან?
 - აი, იმ ქალთან, რა ქვია? ის სტატია ვინც დაწერა ”რამდენად ძლიერი მაჩო გინევთ ლოგინში”...
- ცირა: (გამოეყოფა ხმებს) ცირა ურიდია.

სცენა 4. განკურნების მცდელობები

(სექსოლოგ ცირა ურიდიას კაბინეტში)

ცირა: მე ჩემი საქმის საუკეთესო სპეციალისტი ვარ. მოდიან ჩემთან უბედური წყვილები და ვეხმარები. რამდენი ოჯახი გადავარჩინე დანგრევას, რამდენია ჩემი მადლიერი. თავიდან რცხვენიათ. როგორც წესი, ცოლები მოდიან და მეზობლების პრობლემებზე მელაპარაკებიათ. მეორე ვიზიტზე ირკვევა, რომ პრობლემა თვითონ აქვთ, მესამე ან მეოთხე ვიზიტზე ქმრებიც მოყავთ და ასე, ნელ-ნელა ვაგვარებთ. ჩემით უკმაყოფილო პაციენტი არ მახსოვს. ჩემთან კონსულტაცია ძვირია, მაგრამ ნამდვილად ღირს ამ ფულად.

სოსო: გამარჯობა.

ცირა: გამარჯობათ, მობრძანდით.

სოსო: დავჯდე?

ცირა: აჰ, დიახ, დაბრძანდით.

სოსო: გმადლობთ.

ცირა: აბა, გისმენთ.

სოსო: მე მეგონა, კითხვებს თქვენ დამისვამდით.

ცირა: კარგი, ბატონო, რამდენი წლის ხართ?

სოსო: 30-ის.

ცირა: მეუღლე გყავთ?

სოსო: არა.

ცირა: როგორ მოხდა, ასეთ სიმპათიურ კაცს აქამდე რომ არ დაგადგეს უღელი (თბილად უღიმის) აბა, გისმენთ, რამ შეგვანუხა.

სოსო: კითხვები მორჩა?

ცირა: გზადაგზა გკითხავთ. ნუ გერიდებათ, თამამად. მე პირველ რიგში ექიმი ვარ და შემდეგ უკვე ქალი.

სოსო: რა ვიცი, საიდან დავიწყო.

ცირა: საიდანაც გაგიხარდებათ.

სოსო: თქვენი სტატია წავიკითხე ჟურნალში.

ცირა: ოჰ, მართლა?

სოსო: დიახ.

ცირა: “ქალთა ბედნიერებას” კითხულობთ? რა უცნაურია.

სოსო: რედაქტორი ვარ.

ცირა: უი, ბაკურთან? მერე, ბევრი შეცდომა მქონდა ტექსტში?

სოსო: არა, არც ისე ბევრი.

ცირა: კეთილი, გისმენთ.

სოსო: მიჭირს ამ თემაზე...

ცირა: (ღილაკით მღივანს გამოიძახებს) მზია, ორი ყავა. (სოსოს) თქვენ შაქრით თუ..?

სოსო: უშაქროდ.

ცირა: ორი უშაქრო, მზია. (სოსოს) მეც უშაქროდ ვსვამ. მართლა არაფერია მოსარიდებელი, მომიყევით, რა განუხებთ.

სოსო: კარგი. მოკლედ, თქვენი სტატია რომ წავიკითხე, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ პრობლემა მაქვს. მარტო ვცხოვრობ, სექსი დიდი ხანია არ მქონია და ახლა, როცა ვცადე, მოკლედ..

ცირა: თამამად.

სოსო: ერეკცია არ მაქვს. არაფერმა არ მიშველა.

ცირა: უბრალო გადაღლის ბრალია, ნუ ნერვიულობთ. უფრო დეტალურად მომიყევით. მერე გაგსინჯავთ, ანალიზებს ავიღებთ, დანიშნულებას გამოვწერთ და

ყველაფერი კარგად იქნება, ნუ ღელავთ. ახლა მომიყევით, ბოლოს როდის სცადეთ და რა მოხდა.

სოსო: ერთ გოგოსთან ვიყავი... ნუ, პროფესიონალთან, ხომ ხვდებით.

(შემოდის ბოზი-თან მზია, რომელიც ცირას მდივანია, სცენა იცვლება, გადავდივართ ბოზის ოთახში, ცირა შორიდან აკვირდება ამბებს)

მზია: რა გქვია?

სოსო: სოსო.

მზია: მე ზიზი.

სოსო: რამდენს იღებთ?

მზია: აუ, შენობით მელაპარაკე რა, თავი სკოლის მასწავლებელი მგონია. 100 ლარია სტანდარტული, მაგრამ გააჩნია, რა გინდა.

სოსო: ჰო.

მზია: რამე განსაკუთრებული გინდა? მე ყველაფერი შემიძლია. უუუ, აი, ნახავ. მაგარი გოგო ვარ.

სოსო: კარგია.

მზია: დავჯდეთ აქ, ხო? (სანოლზე ჯდება)

სოსო: (ექიმს) ძალიან უხერხულად ვიგრძენი თავი, ადრე მეძავთან არასოდეს ვყოფილვარ. ყოველთვის მეგონა, რომ ამაში ფულის გადახდა საშინელებაა.

ცირა: გააგრძელეთ, მერე, მერე?

სოსო: (ცირას) რაღაც ხიბლი ხომ უნდა ჰქონდეს. ასე პირდაპირ როგორ, რანაირად... (მზიას) რა თქვი, რა მქვიაო?

მზია: ზიზი. ჰო, კაი, ნუ გეცინება, სინამდვილეში მზია მქვია, მაგრამ აქ ასე მოსულა, ყველა სხვა სახელს ირქმევს.

სოსო: მზია...

მზია: (ვითომ ებუტება) აუუ, ახლა უნდა დამცინო გოიმურ სახელზე, ხო?

სოსო: არა, რას ბრძანებთ კიარადა, რას ამბობ.

მზია: კარგი ბიჭი ხარ შენ, მოდი ჩემთან. (მიეფერება და ცდილობს სანოლისკენ წაიყვანოს)

სოსო: ხომ არ გშია მზია? კიარადა, ზიზი?

მზია: ა?

სოსო: რა ვიცი, მე ცოტა მომშივდა, მთელი დღეა, არაფერი მიჭამია. არ გინდა, რამე შევუკვეთოთ?

მზია: რა უნდა შევუკვეთოთ?

სოსო: მაგალითად, პიცა.

მზია: არ მოგწონვარ ხო?

სოსო: არა, რა სისულელეა, ძალიან ლამაზი გოგო ხარ.

მზია: აბა?

სოსო: რა და, ასე არ შემიძლია. არ ვარ მიჩვეული.

მზია: არ მჯერა. აუ, არ მჯერა (ტირის)

სოსო: ვაიმე, რა გატირებს?

მზია: შენისთანა კაცები კიდე თუ არსებობდნენ, არ მჯეროდა.

სოსო: ჩემისთანა?

მზია: ხო, ოქროს გულიანები.

სოსო: უჰ!

მზია: მოდიან აქ ცხოველები და არაფერი არ აინტერესებთ, იმის გარდა.. ნუ, იმის.

სოსო: ხო, ვხვდები.

მზია: ცოლიანი ხარ?

სოსო: არა.

მზია: სადა აქვთ ამ გოგოებს თვალები. ან გული სადა აქვთ, ან ჭკუა...

სოსო: ზიზი...

მზია: მზია დამიძახე, შენგან ასე მიჩვენია.

სოსო: ჰო, კარგი. მზია, გამოვიძახოთ პიცა?

მზია: გამოვიძახოთ!

სოსო: რომელი გიყვარს? კუატრო ფორმაჯი?

მზია: ეგ რა არი?

სოსო: ოთხი ყველის პიცა – რიკოტა, გორგონძოლა, პარმიჯანო და მოცარელა.

მზია: აუ, რა ჭკვიანი ხარ.

სოსო: ხო, ჭკვიანი კი ვარ... ეჰ.

ცირა: (უკნიდან) მერე?

სოსო: გამოვიძახეთ პიცა, ვჭამეთ, შიოდა თურმე. (ცირა შემოიტანს პიცის ყუთს და ისევ თავის ადგილს იკავებს)

მზია: ძან გემრიელი იყო, მადლობა. (წვება ლოგინზე)

სოსო: ჰო, კარგი იყო. (გვერდით მიუწევა)

მზია: რა კარგი ბიჭი ხარ, ჩემი ბედი რა ვთქვი.

სოსო: რატომ?

მზია: ეხ, სხვა ცხოვრებაში... კაი, არ გვინდა ახლა ამაზე ლაპარაკი. მოდი ჩემთან.
(ჯიქურ გადაალაჯებს და ლოშნის)

სოსო: მოიცა, მოიცა!

მზია: რა იყო?

სოსო: მგონი, ძაან ბევრი მომივიდა ჭამა.

მზია: გული გერევა?

სოსო: არა, მაგრამ მძიმედ ვარ.

მზია: (თავს ანებებს, გვერდით უწევა) რა ვქნათ?

სოსო: წამო, ცოტა გავისეირნოთ.

მზია: ჰო, რა ვიცი, წამო.

სოსო: (ცირა ექიმს) ცოტა დაიბნა, მაგრამ მაინც წამომყვა. საშინლად ცხელოდა, მაგრამ მაინც ბევრი ვიარეთ, ვატყობდი, რომ ძალიან დაიღალა. ბოლოს, ჩემთან ავედით.

მზია: აქ ცხოვრობ? მარტო?

სოსო: ჰო.

მზია: ქალის ხელი აკლია აქაურობას.

სოსო: ჰო.

მზია: მოიყვანე მერე ცოლი, შვილებს გაგიჩენს.

სოსო: ჰო.

მზია: მოდი ჩემთან. (ეხვევა, სანოლისკენ ექაჩება)

სოსო: მოიცა.

მზია: რა მოხდა?

სოსო: არაფერი.

მზია: (აღშოთდება) იცი რას გეტყვი? შენ მე უსაქმური ან დებილი ხო არ გგონივარ? სამუშაო მაქვს მე და ფულს ვაკეთებ – არ გინდა, ნუ გინდა, მე რა შუაში ვარ? საერთოდ რას მოდიოდი ჩემთან, თუ არ გინდოდა? გამაგიჟებენ ესენი მე. არა, ბედი არა მაქვს რა, ყველა იდიოტი მე როგორ უნდა შემხვდეს? რისთვის ვისჯები ასე, რა დავაშავე. ამისთანა არაფერი მინახია.

სოსო: მინახავს.

მზია: რაო?

სოსო: მინახავს არის სწორი ფორმა. არაფერი მინახავს.

მზია: მომე საფულე. (სოსო აწვდის. მზია 100ლარიან კუპიურას ამოიღებს და საფულეს უკან მიუგდებს) მე აქ დასაკარგი დრო არ მაქვს, გენაცვალე, აქამდე სამ კლიენტს მაინც მოვემსახურებოდი. არ შეგიძლია? რა ჩემი პრობლემაა? დანკრატი კი არა ვარ. არ მოეწონა ბიჭს ჩემი ქართული. ხოდა, ვისიც მოგწონს, იმან მოგწოვოს. სულ კარგათ მეყოლე. (გადის. შემოტრიალდება) ლაპარაკი გაუსწორე ბებიაშენს. ფუფ! (გადის)

სოსო: გასვლისას კარი გაიჯახუნა.

ცირა: (გადმოდის წინ, ისევ ცირას კაბინეტში ვართ) როგორ ფიქრობთ, ინერვიულებთ და იმიტომ?

სოსო: არ ვიცი, ვერ გეტყვით.

ცირა: მეგობარი გოგო არ გყავთ?

სოსო: არა.

ცირა: კარგით, მოდით მე თქვენ დანიშნულებას გამოგიჩინოთ, დავიწყოთ სტანდარტული კურსი და დაველოდოთ შედეგებს. პარალელურად შეეცადეთ, დაისვენოთ, არ გადაიღალოთ. დეკლაროფილის აბები, დღეში სამჯერ, ჭამის შემდეგ, ვესტალინის მალამო, შეიზელთ საზარდულში ძილის წინ. და ისა, ინსტრუქციაში კი წერია, მაგრამ მაინც გეტყვით, მალამო ზეთოვანია და ამიტომ აჯობებს, ბოქვენზე თმა მოიცილოთ.

სოსო: მოვიცილო?

ცირა: ჰო, გაიპარსოთ, ანუ. ნუ ღელავთ, ყველაფერი კარგად იქნება, რახან ჩემთან მოხვედით, მთავარი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. 10 დღეში გელოდებით, ვნახოთ, კურსი რა შედეგს მოგვცემს.

— შედეგი.

— 10 დღე.

— ჰქონდა რაიმე შედეგი?

— არავითარი. დანიშნულებას ზუსტად ასრულებდა, არცერთხელ არ ჩაუგდია, მაგრამ რად გინდა.

— სამსახურში, მაგიდაზე ედო წამალი, გრაფიკიც კი შეადგინა, ამობეჭდა და სამუშაო მაგიდასთან გაიკრა, რომ არ გადაეცილებინა.

— აგვისტოა, ცხელა. გამომცემლობაში ისევ მხოლოდ სოსო და მარიკო არიან.

მარიკო: სოსო, ეს რა წამალია?

სოსო: აა, ისა... არაფერი.

მარიკო: ვაიმე, ვიცი, რომ ჩემი საქმე არაა, მაგრამ როგორ არაფერი, ერთხელაც არ ჩაგიგდია.

სოსო: ნუ, ისე, ცოტა ავად ვარ.

მარიკო: აეხლა სოსოო!

სოსო: არა, მართლა არაფერია.

მარიკო: რა არაფერი, ბიჭო, პირველი წელია გიცნობ? და, სხვათა შორის, გუგლის გამოყენება მეც ვიცი. დავგუგლე შენი ნამალი.

სოსო: მართლა?

მარიკო: არ გინდა, მომიყვე, რა ხდება?

სოსო: დაგიგუგლავს და...

მარიკო: ჰმ. მერე, მეგობრები რისთვის არსებობენ? მომიყევი, მოგეშვება.

სოსო: წამო, შესვენებაზე გავიდე, ვჭამოთ და თან მოგიყვები...

— არსად გასვლა არ დასჭირვებიათ – საჭმელი თვითონ მოვიდა მათთან. ნათიამ საფირმო ჩაქაფულით მოაკითხა სამსახურში.

ნათია: (შემოდის) გამარჯობაა! მე ნათია ვარ, სასიამოვნოა.

მარიკო: მარიკო, სოსოს მეგობარი.

ნათია: გამარჯობა, სოსო.

სოსო: ნათია...

ნათია: მაპატიე, ასე გაუფრთხილებლად რომ შემოგიარე. უბრალოდ, იმ დღეს ვერ დაგემშვიდობე წესიერად და ვიფიქრე, რა ვიცი.. ხო, ვიფიქრე. მოკლედ, ხომ უნდა გაგასინჯო ჩემი ჩაქაფული. (მარიკოს) თქვენც მიირთვით, რა.

მარიკო: დიდი მადლობა, სიამოვნებით. შემოგვიერთდით, სამზარეულოში გავიდე.

ნათია: არა, არა, მე მარხვაზე ვარ, თქვენ მიირთვით. მე ისა... ხო, მე დაგტოვებთ, მეგობრები მელოდებიან, მცხეთაში ავდივართ, ჯვარზე.

სოსო: რატომ წუხდებოდით.

ნათია: აჰ, რა შენუხებაა.

სოსო: რა ვიცი, მადლობა მაშინ.

ნათია: არაფერს. (სიხარულით გაკუნტრუშდება)

სოსო: (მარიკოს) ხვდები ხო, რა შარში ვარ?

მარიკო: ვინაა ეს გოგო?

სოსო: ჩემი საცოლე.

მარიკო: ჰააა? ცოლს ირთავ, ბიჭო?

სოსო: კი, როგორ არა. დედაჩემი და მამიდაჩემი მირიგებენ.

მარიკო: ვაიმე, არ შემიძლია.

სოსო: არც მე შემიძლია.

მარიკო: აჰაჰა, შენ რა გითხარი.

სოსო: ნუ იცინი. ცოლს როგორ მოვიყვან, არ მიდგება.

მარიკო: კარგი ახლა.

სოსო: ხო დადგუგლე ის წამალი. ჰოდა, ექიმთან დავდივარ, არ მიდგება.

მარიკო: ვაიმე, სოსო, ამ ქალზე არ აგიდგება, აბა, რა იქნება. მეცინება.

სოსო: ეგ ქალი რა შუაშია, საერთოდ აღარ. სხვებთან, სხვა ქალებთან.

მარიკო: რას პანიკიორობ, იმკურნალებ და გაგივლის.

სოსო: ჰო, იმედია.

მარიკო: ვაიმე, იცი, ახლა რა ვიფიქრე?

სოსო: რა?

მარიკო: ბიჭები ხომ არ...

სოსო: არა, რა სისულელეა.

მარიკო: რა იცი, გიცდია?

სოსო: არა, რა თქმა უნდა.

მარიკო: აბა, საიდან იცი? ეგრე რამდენ ხანს არ ვუტყდებოდი საკუთარ თავს, რომ გოგოები მომწონს, იცი? სამი ბიჭი შეყვარებული გამოვიცვალე და ძლივს მივხვდი, რატომ არ მომწონდა არავისთან.

სოსო: კაი, ნუ მაშინებ.

მარიკო: ვაიმე, არ გაშინებ და რა ლაპარაკია ახლა ეს? რა მოხდა, ბიჭები თუ მოგწონს?

სოსო: არ მომწონს, კაცო, რას გადამეკიდე.

მარიკო: მოიცა, ტესტი უნდა ჩაგიტარო. მიდი იქ, ცოტა შორს დადექი. (სოსო დაბნეულია, მაგრამ ემორჩილება. მარიკო აიღებს რაიმე პატარა ნივთს, მაგალითად, გასაღებს და გადაუგდებს, სოსო ეგრევე იჭერს.) არაა, დაიჭირა. ფიგურული სრიალი თუ ფეხბურთი?

სოსო: ფეხბურთი.

მარიკო: ჯანდაბა. (ღლინებს) მმმმ, სომეტჰინგ'ს ცომინგ ოვერ მე, მმმმ, მე ბაბყ'ს გოტ ა სეცრეტ. გეცნობა?

სოსო: არა.

მარიკო: მიდი, ერთი პერანგი გაიხადე.

სოსო: რა ვქნა?

მარიკო: გაიხადე, რომ გეუბნები.

სოსო: ვაიმე, რატომ.

მარიკო: ეგ მე ვიცი, მიდი შენ, გაიხადე. (სოსო იწყებს ლილების შეხსნას ზემოდან, სამ-ოთხს შეიხსნის) ვაიმე, ვაიმე, კარგი შეიკარი.

სოსო: ვერაფერი ვერ გავიგე.

მარიკო: არა, არა ხარ შენ გეი. გეები გადაგდებულს ვერ იჭერენ, ფიგურული სრიალი უყვართ, მადონას უსმენენ და პერანგის გახსნას ყოველთვის ქვემოდან იწყებენ.

სოსო: ჰა?

მარიკო: ხო, ვიცი, რომ სისულელეა, მაგრამ ასეა და. მოკლედ, არა, გეი არა ხარ.

სოსო: დიდი ნუგეში.

მარიკო: ექიმმა რა გითხრა?

სოსო: ბევრი არაფერი, დამამშვიდა, ნუ ნერვიულობო და დამინიშნა ეს ნამლები.

მარიკო: მერე გშველის?

— როგორ არ უმძიმდა სოსოს ამის აღიარება, მაგრამ მაინც თქვა ის ერთადერთი საბედისწერო სიტყვა:

— არა.

— იმ დღეს სამუშაოსაც ვერ დაუდო გული.

— არადა, საინტერესო წიგნზე მუშაობდა.

— საყვარელ საქმეზე გული აიცრუა სოსომ.

სცენა 5. ღამე. მამის აჩრდილი

— ისევ აგვისტოა, ისევ საშინლად ცხელა.

— სოსოს ღამე ძილი უჭირს.

- შედის პორნოსაიტებზე, რას აღარ უყურებს:
- ქალი და კაცი პლაჟზე, რომანტიკული მუსიკის ფონზე, ჩამავალი მზე, ტალღები.
- ვარდის ფურცლებით მორთული საწოლი, ვითომ პირველი ღამე.
- თინეიჯერი რუსი გოგოს დეფლორაცია.
- ორი კაცი და ერთი ქალი სუპერმარკეტის საწყობში.
- სამი კაცი და ორი ქალი თავლაში.
- ქალი ქმრისა და საყვარლის სენდვიჩში.
- მათრახი, ლატექსი, ხელბორკილები.
- ფუტფეტიში, ოქროს წვიმა და რა აღარ.
- მაგრამ ისევ ის ერთადერთი საბედისწერო სიტყვა:
- არა.
- არა და არა.
- გამთენიისას სიცხით გათანგულს ოდნავ წათვლემს და სულ ეგაა მისი ძილი.
- თვალები ჩაუღამდა, თავი გამუდმებით ტკივა.
- ყველაფერი აღიზიანებს.
- დილით, სანამ მზე ამოვა და როცა ღია ფანჯარაში საბურთალოელი ჩიტები ინყებენ ჭიკჭიკს, სოსოს სიცოცხლე აღარ უნდა.
- ძლივს ნაპოვნ ძილს უფრთხოვენ.
- და მეთუ დღეს, სწორედ მაშინ, სანამ ჯერ კიდევ ბნელოდა, ზუსტად 4 საათსა და 48 წუთზე...
- სოსოს მამა დაესიზმრა.
- ჟანრის კლასიკა: მამის აჩრდილი.

მამა (იგივე სოსო): მამა, სოსო, მართალია, ადრე წავედი შენი ცხოვრებიდან, მაგრამ ჩემი ბრალი არ ყოფილა, ხომ იცი, შენც. მენანება, მამა, ძალიან მენანება, რომ შენს დაკაცებას ვერ მოვესწარი, მაგრამ იცოდე, აქედან, ზემოდან გიყურებ და გბაღეშიკობ. კაი კაცი ხარ შენ, კეთილი, პატიოსანი და ასე კარგად უნდა იცხოვრო სულ. არაფერი შენ არ შეგშლია ცხოვრებაში... მარა, მამა, დროა უკვე. 30 წლის ხდები, ცოლი უნდა მოიყვანო, მამა. ცოლი უნდა მოიყვანო და შვილები გყავდეს – ერთი გოგო და ერთი ბიჭი. შეიძლება – მესამეც. გესმის, მამა, მოიყვანე ცოლი. დედაშენს შვილიშვილი უნდა, მამიდაშენს შვილიშვილი უნდა, მე კი ვარ აქ კარგად, ზეციურ საბურთალოზე, მაგრამ მეც მინდა შვილიშვილი. ჩემი სახელი დაარქვი იცოდე, ვენაცვალე პასპორტში, ბაბუკას. (დაფიქრდება) ბიჭს დაარქვი ოლონდ, ჩემი სახელი, კაცო. ჰაჰაჰა. ხო, კაი ვიხუმრე, ხო იცი, რანაირი ვარ. არ განელო მამა, ჩემსავით,

დროზე მოიყვანე ცოლი. აგვიანებ უკვე. მაგაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს ცხოვრებაში – კაცს უნდა ყავდეს ცოლი, ოჯახი. შვილები თუ არ გყავს, რა აზრი აქვს შენს ცხოვრებას? ახლა, მე რომ უშვილოდ წამოვსულიყავი აქ, ხო ვიქნებოდი ნახევარი კაცი, მაგრამ შენ მყავხარ, ჩემი ბიჭი, ჩემი გვარის გამგრძელებელი და არ შემარცხვინო, იცოდე. ნუ დააბერებ დედაშენს და მამიდაშენს უშვილიშვილოდ. დავიჯერო ახლა, ვინმე კაი გოგო არ გეძლევს? ჰა, შე ეშმაკო, გგონია არ ვიცი ნათიას ამბავი? რას უნუნებ მამა, გადაგყვება ზედ. დედაშენი და მამიდაშენი ცუდს არ გირჩევენ, მამა, მოიყვანე ცოლი, მამ, მოიყვანე, შენია ეს ქვეყანა, ბიჭო, მოიყვანე ცოლი, მოიყვანე, შენია, ბიჭო, შენი, მოიყვანე, მამა ცოლი, მოიყვანე...

ნათია: (შემოდის სიზმარში, ეხუტება მამას) სოსო! სოსო! (მამა თამამად მოხვევს ხელს ტრაკზე ან სადმე მიმდებარედ)

მამა: მოიყვანე, მამა, ის გოგო – ნათია, კაი გოგოა, არ გაუშვა ხელიდან, მოიყვანე, მამა, მოიყვანე, თორე, იცოდე... ოხ, შენი! (კოცნის ნათიას სწრაფად ტუჩებში. სიზმარი წყდება. სოსო ხდება სოსო, შემოფოთებული ინესრიგებს თავს, ნათია ხდება ცირა ურიდია)

სცენა 6. მატრიმონიალური ამბები

(ცირა ურიდიას კაბინეტში)

ცირა: ოოო, გამარჯობათ, მობრძანდით. აბა, როგორ ვგრძნობთ თავს? კურსი დაამთავრეთ?

სოსო: (დუმს, თავს ჩალუნავს)

ცირა: ვაიმე, რატომ ასე? აბა, მომიყევით – აჰა, ესეც თქვენი დანიშნულება: დეკლატროფილი, პლუს ვესტალინის მალამო, ქვას გახეთქავს. ეგ არაფერი, დოზირებას გავზრდით და კიდევ დაგიმატებთ ვირალიზინის ნემსებს, ინექცია კუნთში. დღეში 5 მილიგრამი, ისევე ათდღიანი კურსი დავნიშნოთ და დაველოდოთ შედეგს.

სოსო: ცოლი მომყავს.

ცირა: ბატონო?

სოსო: ცოლი მომყავს-მეთქი.

ცირა: ვაიმე, მოსალოცი ამბავია. ვინ, ზიზი? თუ რა ერქვა, მზია?

სოსო: არა, ერთი გოგოა, ნათია. კარგი გოგოა.

ცირა: ჰო, რა ვიცი... კარგი ამბავია, ნამდვილად, გილოცავთ.

სოსო: დედას და მამიდას გაუხარდებათ.

დედა: (კვივის სიხარულისგან) ააააააააააააააააა! გოგო, მოდი, მოდი, რა უნდა გითხრა!

მამიდა: (შემორბის) ცომში მაქვს ხელები, რა ხდება?

დედა: სოსომ დამირეკა და ნათიას ნომერი მთხოვა.

მამიდა: ვაიმე, რძალო! ვაიმე, როგორ მიყვარხარ.

დედა: ჩემი საამაყო ბიჭი!

მამიდა: არა, ხო ვამბობდი, ნათია მოეწონება-მეთქი! აი, ხომ ვამბობდი! შენ კიდევ არ გჯეროდა.

დედა: ნუ ეხლა, რძალ-მული ვართ მაინც. ჰაჰაჰა.

მამიდა: შენ რა გითხარი. გვეშველა, მგონი.

დედა: აწი რა მომკლავს – ჩემი სოსო იმ გადასარევე გოგოს თუ მოიყვანს, რაც ეს წლები გლოვაში გავატარეთ მე და შენ, ერთიათასად დაგვიბრუნდება უკან. შვილიშვილი გვეყოლება, გოგო.

მამიდა: შვილიშვილი კი არა, შვილიშვილები! ერთი ბიჭი, ერთი გოგო. მესამეც შეიძლება.

დედა: ვაიმე, ვაიმე, რა გამახარა.

მამიდა: მიეცი ნომერი?

დედა: ვაიმე, აბა, არ მივცემდი?

მამიდა: ენაცვალოს მამიდამ!

დედა: მ!

მამიდა: კაი ეხლა, რა დროს ეგაა. სად მიდიან, ვითომ? სად ხვდებიან ერთმანეთს?

დედა: მე რა ვიცი.

მამიდა: ვაიმეეე, ახლა მანდ ცალი ყური ჩამადებინა და მომასმენინა, რას ილაპარაკებენ.

დედა: პაემანი... ახლა ვიტირებ.

(სოსოს და ნათიას პაემანი. მამიდა და დედა თითოეულის უკან დგანან)

ნათია: გინდა სიმართლე გითხრა?

სოსო: მითხარი.

ნათია: ცოტა გამიკვირდა, პაემანზე რომ დამპატიყე.

სოსო: კარგი სიტყვაა პაემანი. თითქმის არავინ აღარ ხმარობს.

ნათია: (უხერხული კდემა) ჰოო?

სოსო: ჰო, ასეა.

ნათია: გამიხარდა.

სოსო: მართლა?

დედა: ვაიმე, გაუხარდა რომელია! გაგიჟდა!

მამიდა: უხ, რა ღრჯოა ეს ბიჭი, უთხარი შენც რამე.

სოსო: მიხარია, თუ გაგიხარდა.

ნათია: (მორცხვად) ესე იგი, გაგახარე.

სოსო: ჰო.

დედა: ჩვენც გაგვახარეთ, ჩვენც.

მამიდა: ცხვირსახოცი!

ნათია: არ ვიცი, რა ვთქვა. არ ვარ მიჩვეული.

სოსო: არც მე.

ნათია: მართლა? მე მეგონა, გოგოები მოსვენებას არ გაძლევდნენ.

სოსო: ისე რა.

ნათია: შეიძლება რაღაც გითხრა?

სოსო: მითხარი.

ნათია: სულელები ყოფილან.

სოსო: ვინ?

ნათია: გოგოები.

სოსო: რატომ?

ნათია: ასეთ კარგ ბიჭს თუ ყურადღებას არ აქცევდნენ...

სოსო: შენი აზრით, კარგი ბიჭი ვარ?

ნათია: ჰო.

მამიდა: ვსიო, გათავებული ამბავია.

დედა: ამენ, ამენ!

სოსო: და შენ არავინ არ გყოლია?

ნათია: ვაიმე, რას ამბობ. (მორცხვად ეცინება)

სოსო: რა ვიცი, ისე გკითხე.

ნათია: არა, არა, კარგია, რომ მკითხე. უნდა მკითხო ხოლმე ყველაფერი, რაც გაინტერესებს. არ ვიცი, მე არ მესმის ჩემი თაობის გოგოების, რა დღეში არიან, როგორ იქცევიან. შეიძლება, მე ვარ ჩამორჩენილი, მაგრამ ვიყო – რა ვქნა. სულ მგონია, რომ მოდას არიან აყოლილები.

სოსო: რას გულისხმობ?

ნათია: აი, იმას. ნუ, ხო ხვდები.

სოსო: ვერა.

ნათია: რას და, თურმე რომ არა უშავს, რომ ამასთან უნდა დანვე, იმასთან უნდა დანვე, ყველასთან უნდა დანვე. მე ვერ ვქენი ეგ, საკუთარ თავს ვერ გადავაბიჯე, მე არ მინდოდა, ვყოფილიყავი გამოსაყენებელი ცხოველი, მე არ მინდოდა, ჩემი ურთიერთობა ბიჭებთან დანყებულიყო ჟინით და დამთავრებულიყო ძლომით. მე მგონია, რომ იმ ერთადერთს უნდა დაელოდოს ქალი, ვისაც ღმერთი შენთვის ინახავს.

დედა: ოქროს სიტყვებია.

მამიდა: ვაიმე, შენ არ იცი, როგორ გეთანხმები. მეც ასე ვიცხოვრე მთელი ცხოვრება.

ნათია: საერთოდ, ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას. არადა, სიყვარული უფრო მნიშვნელოვანია. ხომ მეთანხმები?

სოსო: ა?

ნათია: მისმენ?

სოსო: გისმენ, გისმენ, როგორ არა და მომწონს, რასაც ამბობ.

ნათია: მართლა?

სოსო: კი, მართლა.

ნათია: რა საყვარელი ხარ! (ხელს გაინვდენს და მორკძალებულად მიეფერება სახეზე. სცენა იყინება)

მამიდა: მამა ირაკლისთან დაინერენ ჯვარს.

დედა: ირაკლისთან რატომ? ჩემი შვილია, ბოლოს და ბოლოს. არა, შენს დამსახურებას კი არ ვამცირებ, შენი შვილიცაა, მაგრამ ჩემი მამაო მირჩევნია. გადანყვეტილია, მამა გიორგი დანერს ჯვარს.

მამიდა: რა სიხარულია, ღმერთო, რა სიხარულია!

დედა: პატარა, მაგრამ გემრიელი ქორწილი გავაკეთეთ, ჩიტის რძე არ აკლდა სუფრას. როგორ დაიტოვოს დედის გულმა ამხელა სიხარული.

მამიდა: რა სწრაფად მოხდა ყველაფერი, ვინ იფიქრებდა.

დედა: ასე იცის ჩემმა ბიჭმა, ნამდვილი კაცია! გადანყვიტა და მორჩა! აი, კაცი ამას ქვია. კი არ განელა და გააჯანჯლა. რა რძალი შემოგვივიდა ოჯახში.

მამიდა: ოქროს გოგო! პატიოსანი, გამრჯე, კეთილი!

დედა: მაგას ვენაცვალე, საკუთარი შვილივით მიყვარს. ჩემი ქმარი ახლა ზემოდან გვიყურებს და იქიდან უხარია ჩვენთან ერთად.

მამიდა: მოგვესწრო შვილი. მამა არ გყავდა, ჩემო გაზრდილო ბიჭო, მაგრამ გყავდა მამიდა!

დედა: სად არიან ახლა, ნეტავ რას შვებიან?

მამიდა: კაი, ქალო, რას ქვია, რას შვებიან, რას ლაპარაკობ.

დედა: სასტუმროს ნომერში.

— პირველი ღამე.

— პირველი ღამე.

ნათია: მიყვარხარ. ძალიან ბედნიერი ვარ.

სოსო: მეც.

ნათია: (თბილად უღიმის) მმმ. ჩემი ქმარი! (აკოცებს მოკრძალებით)

სოსო: (მსუბუქად მოიშორებს) ძალიან კი დავიღალეთ. მოდი, ახლა დავწვეთ.

ნათია: რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. ახლავე მოვალ. (გადის აბაზანაში)

— სოსო წვება.

— სასწრაფოდ წვება, სანამ ნათია აბაზანაშია.

— სოსო გადაბრუნდება და იძინებს.

— ვითომ იძინებს.

— სადღა შეუძლია სოსოს ძილი, მაგრამ ვითომ იძინებს.

— ცოლიანი კაცია, თავი ქუდში აქვს.

— რა სწრაფად მოხდა ყველაფერი.

— ნათია გამოდის აბაზანიდან.

— სიჩუმე!

ნათია: (გამოდის აბაზანიდან, ხედავს, რომ სოსოს სძინავს. ცოტა იბნევა, სხვა რამეს ელოდა. პაუზა. სანოლზე ჩამოჯდება, ფრთხილად მოეფერებასავით სოსოს.)

სოსო: (თავს იძილიანებს) მმ.

ნათია: გძინავს? (სიჩუმე) ჩაგძინებია. ხვალ დილით საუზმეს მოგართმევ, დილადრიიან ავდგები, ყავას მოგიდულებ, ალადიკებს დაგიცხობ, წვენს დაგიწურავ, გაუთოებულ პერნაგს დაგახვედრებ. იძინე მშვიდად, ჩემო დაღლილო ქმარო. რა ბედნიერი ვარ, ღმერთო! (ნათია იყინება, ხელი "მძინარე" სოსოზე უდევს)

— მართლაც, ღმერთო! რა ბედნიერია.

— გათენდება მეორე დღე, მერე დაღამდება, მერე ისევ გათენდება. ნათია მოადულებს ყავას, დანურავს წვენს, გაუუთოებს პერანგს. მერე ისევ დაღამდება, ისევ გათენდება, ისევ მოადულებს ყავას და დაელოდება თავისას. დაელოდება იმას, რაც უკვე კანონის და ღმერთის წინაშე დაიმსახურა.

— რასაც ამდენ ხანს ელოდა.

— დაელოდება თავისას.

— ელოდე, ნათია, ელოდე.

— უსაზღვროა მისი მოთმინება.

ნათია: საბანი მაინც გადამაფარე!

— სექტემბერია, მაგრამ მაინც ცხელა.

— რა უცნაურია ასეთი საშინელი სიცხე სექტემბერში.

— აუტანელია, თან არ მთავრდება. არც დღე, არც ღამე, მოსვენება არ არის.

— გადის ერთი კვირა, მერე ათი დღე, მერე თხუთმეტი.

— რა ხდება?

— ნათია მოთმინებას კარგავს.

— ოჰ.

— მეთხუთმეტე დღეს ველარ ითმენს და...

ნათია: (შეანჯღრევს სოსოს, აღვიძებს) არ გაბედო დაძინება! გაიღვიძე, ახლავე გაიღვიძე! (ზედ გადააჯდება, ზენარს გადაიფარებს, ეჩალიჩება, აშკარად ამოდ)

— ნათია ცდილობს.

— ნათია ოფლად იღვრება.

— ვინ იფიქრებდა, რომ ნათიას ამდენი შეეძლო.

— ნათია ქალია და თავისას ითხოვს.

— რას აღარ აკეთებს, რამდენი რამე ცოდნია.

— მაგრამ რად გინდა.

— ერთსაათიანი ბრძოლის შემდეგ ნათია ნებდება.

— ნათია დამარცხებულია.

— და გაბრაზებულიც.

ნათია: (დაეხსნება სოსოს, თმაგანწილი და გამწარებულია) რატომ არ მითხარი?

სოსო: (უხერხულად) მჰმ.

ნათია: რა იყო, სიტყვები არ გყოფნის? ახლა დამუნჯდი ხო? რატომ მომატყუე და გამაუბედურე?

სოსო: არ მომიტყუებხარ, მე მეგონა...

ნათია: (ლოგინიდან ამოიღებს სოსოს წამლებს) არა, ხო? ეს რა არის? რა არის-მეთქი, გეკითხები? შენ გგონია, ასე მოსამსახურედ დაგიდგები და ბედნიერი ვიქნები? შენ გგონია, ყოველ დილით ავდგები, ყავას მოგიდულებ, ალადიკებს დაგიცხობ, პერანგებს გაგიუთოებ, წვენს დაგინურავ და ეგ მეყოფა? შენ გგონია, მე ქალი არ ვარ? შენ გგონია, მჭირდება ასეთი ქმარი – რომელიც გადაბრუნდება და კუნძივით იძინებს? შენ გგონია, მე არ მინდა ბედნიერი ვიყო? შენ გგონია, კაცი ხარ? (ისტერიკაში) დამპალო! ნაგავო! მატყუარა! ღორო! თუ არ გიდგებოდა, რად გინდოდა ცოლიიი!

სოსო: ნათია, მე...

ნათია: გაეთრიე! წადიი! გაეთრიე!

სოსო: (დგება სანოლიდან, ტანსაცმელს ისწორებს, რაღაცას გაუგებრად ბურტყუნებს)

ნათია: სად მიდიხარ?

სოსო: სამსახურში. (გადის)

ნათია: დამპალო! წაეთრიე და უკან არ მოხვიდე! მე ქმარი მინდოდა, ნამდვილი ქმარი და შვილები! ერთი გოგო და ერთი ბიჭი! შეიძლება, მესამეც! ვიტყვი, ყველაფერს ვიტყვი, რაც არასოდეს არ მითქვია.

სოსო: მითქვამს.

ნათია: რააააა? არაკაცო! წაეთრიე! (მიაყრის წამლებს და ოთახიდან გარბის ატირებული)

სოსო: (აკრეფს წამლებს) სამსახურში, სამსახურში. მარიკო! მარიკო!

მარიკო: (შემორბის) რა დაგემართა?

სოსო: შენ უნდა მიშველო!

მარიკო: კარგი, დანყნარდი, რა მოგივიდა! (ჩაეხუტება მეგობრულად, ამშვიდებს, ეფერება)

სოსო: (თანდათან სასონარკვეთით) საშინელება, უარესი რომ შეუძლებელია, ისეთი საშინელება! შენ უნდა მიშველო –

მარიკო: შუშ, დანყნარდი, დანყნარდი. ხალხი რას იტყვის, გიჟივით გიყურებენ.

სოსო: მარტო შენ გესმის ჩემი.

მარიკო: ხო, აბა რა, ნუ გეშინია, მე შენთან ვარ.

სოსო: (მაგრად ჩაბლუჯავს) მარიკო! შენ უნდა გამომყვე ცოლად, ვითომ ჩემი ცოლი იქნები! შენ ხომ კაცი არ გჭირდება, ხოდა, ვინ რას გაიგებს, ვიცხოვროთ ერთად, ყველა ბედნიერი იქნება და თავს დამანებებს. ვითომ ჩემი ცოლი ხარ! შენ უნდა დამეხმარო, სხვა გზა არ მაქვს.

მარიკო: (არ სიამოვნებს ეს ჩაბლუჯვა, ცდილობს დაეხსნას) სოსო!

სოსო: რა სოსო! ხო, მე და შენ ერთად ვიცხოვრებთ! ყოველ დღით სანოლში მოგართმევ ყავას! ნუ გეშინია, ხელის გულზე გატარებ. მართლა!

მარიკო: (უკვე ძალიან უძალიანდება, მაგრამ თავს ვერ იხსნის) სოსო, გეყოფა!

სოსო: არა, არ მეყოფა! მერე ბავშვებს გამიჩენ. ხელოვნური განაყოფიერებით – ერთ ბიჭს და ერთ გოგოს, შეიძლება – მესამესაც. მე და შენ ბედნიერები ვიქნებით, არც შენზე იჭორავებენ, რატომ არ თხოვდებაო და მეც თავს დამანებებენ. მარიკო, გეხვეწები, უარი არ მითხრა.

მარიკო: (როგორც იქნა, გაუსხლტება) გაგიჟდი? მართლა სამკურნალო ხარ.

სოსო: ხო, სამკურნალო ვარ, სამკურნალო! და დედას მოვუტყნავ ახლა იმ იმ ექიმს! (გარბის)

— სოსომ შეიგინა.

— არნახული ამბავია.

— ცხოვრებაში მეორედ შეიგინა.

— რა ქვია იმ ქალს?

— ექიმი სექსოლოგი, ცირა ურიდია.

— ხო. ცირა ურიდია, ფრთხილად.

სცენა 7. დასასრულის დასაწყისი

(ცირა ექიმის კაბინეტში)

ცირა: (ცოტა მკაცრად) აჰ, მობრძანდით? სად იყავით ამდენ ხანს, ათ დღეზე ბევრად მეტი გავიდა, ასე არ შეიძლება.

სოსო: რომ მატყუებთ, ეს შეიძლება ხო?

ცირა: რა ბრძანეთ?

სოსო: რაც გაიგონე! (ცოფდება) არ მოქმედებს ეს წამლები, არ მიდგება!

ცირა: არ უნდა დაგერღვიათ დანიშნულება, მედიცინას თავისი წესები აქვს.

სოსო: ფეხებზე მკიდია ეგ წესები! აფერისტები ხართ ყველანი, არაფერი თქვენ არ იცით, ვერავის თქვენ ვერ შველით!

ცირა: დანიშნულებას შევცვლით, უფრო ძლიერ პრეპარატებს დაგინიშნავთ, კიდეც დაველოდებით განვითარებას – დაველოდებით დიდხანს, დაველოდებით ერთი წელი, ორი წელი, სამი წელი – შეიძლება ოთხიც, სანამ არ ადგება! დაველოდები ათი წელი – ან მეტი, სანამ ყელში არ ამომივა, სანამ ბოლმისგან გულგახეთქილი ყოველლამე თვალს არ დავისიებ ტირილით, სანამ ჩემი ახალგაზრდობა თვალსა და ხელსშუა არ გამიქრება, სანამ ძუძუები არ ჩამომენელება, გავჭაღარავდები და არავის არ მოვუნდები! ხო, დაველოდები იმ დამპალს, იმიტომ, რომ ჩემი ქმარია და მიყვარს, იმიტომ, რომ წესია ასეთი – ბოლომდე მასთან უნდა ვიყო, ბოლომდე, მერე რა, რომ ათი წელია, სექსი არ გვქონია, დაველოდები და მაინც გავაგრძელებ მკურნალობას! გესმის ახლა, გაიგევე?! (ტირის)

სოსო: აზრი არა აქვს. (პაუზა, ისმის მხოლოდ ცირას ზღუქუნი. სოსო მოულოდნელად ხელს დასტაცებს წერილების საჭრელ დანას და თავს იკლავს. სისხლი)

ცირა: (შეჰკვივლებს) ააა!

- რა იყო ახლა ეს?
- უცბად მოხდა.
- როგორც ყველაფერი სოსოს ცხოვრებაში.
- სასტიკი საქციელია.
- სამაგიეროდ, დაისვენა.
- სანყალი.

სოსო: (თავს წამოსწევს) სანყალი? არა, რა სისულელეა, თავს არ მოვიკლავ!

- თავს არ მოიკლავს.
- არა.

სოსო: (ცირას) შენ მოგკლავ! შენ, იმიტომ, რომ ვერაფრით ვერ დამეხმარე და მატყუებდი.

- ყელში წაავლებს ორივე ხელს, მაგრად უჭერს.
- ექიმი სექსოლოგი ცირა ურიდია ხროტინებს.
- სახე უნითლდება, სხმარტალებს, თვალები გადმოცვენაზე აქვს.
- მთლად გალურჯდა.
- და მორჩა, აღარ სუნთქავს.

სოსო: ყველას დაგბოცავთ! ყველას! ნათია! ნათიაა! (ცირა ხდება ნათია, სანოლში წვება)

- ნათია ლოცულობს.
- უკვე ილოცა.
- იძინებს, თავისთვის მშვიდად.
- გამოიტირა უკვე უიღბლო ქორწინება.
- გამოიტირა უკაცოდ ჩავლილი ყმანვილქალობა.

სოსო: ამასაც მოგკლავ! ყველას დაგხოცავთ, ყველას, ვინც სიცოცხლე გამიმწარა!

- ჟანრის კლასიკა, ნათიას ლოგინში ახრჩობს.
- რაც მთავარია, ძილის წინ ლოცვა მოასწრო.
- ამჯერად, უსისხლოდ.
- ძლიერია სოსო, ძლიერი ხელები აქვს.
- ნამდვილი მამაკაცია.
- ყველას მოერევა.

სოსო: მარიკო! შენც მოგკლავ! იმიტომ, რომ არ დამეხმარე, როცა შეგეძლო, იმიტომ, რომ არ დამეხმარე!

- მარიკოს ღამით, სახლში მიადგება.
- სანამ ის უბედური შხაპს იღებს და თავისთვის მშვიდად ღლინებს ფარდის უკან თვალდახუჭული.
- სანამ წარმოდგენა არა აქვს, რა ელოდება.
- სოსო აიღებს ხორცის საჭრელ დიდ დანას.
- სოსოს ჩრდილი საშხაპე ფარდაზე ამოიზრდება.
- და უცებ კივილი.

მარიკო: (კივის) აააა!

- 65-ჯერ დაარტყამს დანას.
- მარიკო კვდება. სისხლიანი წყალი დიდხანს იწრიტება ტრაპში.

სოსო: ყველას დაგხოცავთ, ცუდი ქართულისთვის, ჩემი გამწარებისთვის! მზია!

მზია: მე ხომ ბედი არა მაქვს. ყველა გიჟი მე როგორ უნდა გადამეყაროს!

სოსო: ხოდა, მორჩა! დამთავრდა შენი ტანჯვა! ბოლო გიჟი ვარ შენს ცხოვრებაში!

- არა, მეძავის მკვლელობა მეტისმეტია.
- თან, ასეთი საზარელი?
- კისერი გადაუგრიხა იმ სანყალ გოგოს.

მზია: თავს აქეთ-იქით ვანყვეტებდი, მივხვდი, რომ არ დამზოგავდა.

— და არც დაზოგა. კისერი გადაუგრიხა.

— კიდევ ვინ დარჩა?

— ვინ გაუმნარა ამ კაცს სიცოცხლე?

— ვინ არ ასვენებს?

— ვის გამოა, აგერ უკვე მეორე თვე თვალი რომ ვერ მოუხუჭავს?

— დედა და მამიდა!

— რძალ-მული.

— გამზრდელი დედა და გამზრდელი მამიდა.

მამიდა: მამა არა გყავს, მაგრამ გყავს მამიდა!

დედა: ჩვენი ბიჭი, როგორ არ უმართლებს ცხოვრებაში!

მამიდა: ენაცვალოს მამიდამ!

სოსო: მმმმ! მ-მეთქი, შენი!

დედა: (ცდილობს ჩაეხუტოს, დაამშვიდოს) შუშუ, დედი, ნუ განიცდი ასე, ყველაფერი კარგად იქნება.

სოსო: არაფერი არ იქნება კარგად! არაფერი! თქვენ მაინც რაში გჭირდებით? თქვენ მაინც რატომ განუხებთ, ამიდგება თუ არა?!

მამიდა: რას ლაპარაკობ, სოსო?

სოსო: არაფერს მე არ ვლაპარაკობ! დაგხოცავთ ორივეს და დავისვენებ. ვიცხოვრებ ჩემთვის, როგორც ადრე ვცხოვრობდი! არ მეყოლება ჩემი სირცხვილის არცერთი მონმე! მამაჩემის თოფით დაგხოცავთ!

— სანადირო თოფია, მამის დანატოვარი. სოსო ცხოვრებაში პირველად გაისვრის თოფს. თანაც, ორჯერ. დათვზე სანადირო ორი ჟაკანი და ორივე მიზანში ხვდება. სისხლია, ბევრი სისხლი. უფრო მეტი, ვიდრე კინოში.

— რა იყო ახლა ეს?

— უცბად მოხდა.

— როგორც ყველაფერი სოსოს ცხოვრებაში.

— სასტიკი საქციელია.

— სამაგიეროდ, დაისვენა.

— დაისვენა?

— ვერა. სოსო ვერ ისვენებს.

სოსო: ამის ბრალია ყველაფერი. ეს 150 გრამი ხორცია ყველაფერში დამნაშავე. ამის სიმყარეზე დგას მთელი სამყარო. ამის მონა ვარ. კაცი არა ხარ. კაცი ვერ იქნები. ცოლსაც ეს ტყნავს და საყვარლებსაც. შვილებსაც ეს აკეთებს. ყველაფერი ესაა. უამისოდ კაცი არა ხარ. უცოლოდ და უშვილებოდ კაცი არა ხარ. არ გეღირსება მოსვენება.”ენადა ბეჩავს ადგომა, მაგრამ ველარა დგებოდა” - ”უკუეთუ გაცდუნოს, მოიკვეთე და განაგდე”. მოიკვეთე და განაგდე. ხო მოვიჭრი და პლასტიკურ ქირურგებს მივუგდებ, მიაკერონ ვინმეს! რამდენი ნატრობს და მე არაფერში მჭირდება. მოვიჭრი და დავისვენებ!

(ტრიალდება ზურგით, შარვალს ჩაიხდის და დანით იჭრის, საზარელ ხმაზე ღრიალებს)

— (სამივე ხმა ერთად კივის) არაააა!

(პაუზა. სოსო იატაკზე გდია, ხელში მოჭრილი, სისხლიანი ყლით)

სცენა 8. ბედნიერება და სიმშვიდე

— რა იყო ახლა ეს?

— უცბად მოხდა, როგორც ყველაფერი სოსოს ცხოვრებაში.

— სასტიკი საქციელია.

— სამაგიეროდ, დაისვენა.

— მაგრამ არა, სინამდვილეში ეს არ მომხდარა.

— სოსო თავი არ მოუკლავს.

— სოსოს არ დაუხოცავს ექიმი სექსოლოგი ცირა ურიდია, მორწმუნე ცოლი, ნათია, მეძავი მზია, ლესბოსელი მარიკო, გაუთხოვარი მამიდა და ქვრივი დედა.

— სოსოს არ მოუჭრია.

— არა.

— ზის თავისთვის, ჩუმად. როგორც ადრე და უცნაურ სიმშვიდეს გრძნობს.

— სოსოს სამსახურიდან ურეკავენ. მარიკოა.

— კარგი ამბავი აქვს.

— მოიკითხა, სად დაიკარგეო.

— სასწრაფოდ გამომცემლობაში მოდი, შენთვის კარგი ამბავი მაქვსო.

— რა ამბავია?

— ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა მარსელ პრუსტის გამოცემას იწყებს.

- კონტრაქტო გაფორმებულია, საავტორო უფლებები ნაყიდი.
- მთლიანი ციკლის – ”დაკარგული დროის ძიებაში”
- სოსოს სერიის მთავარი რედაქტორობა დაევალა.
- წლები დასჭირდება ამ საქმეს.
- ღირს წვალებად.
- ქართული კულტურისთვის უდიდესი შენაძენი იქნება.
- მარსელ პრუსტი ქართულად, წარმოგიდგენიათ, რა ბედნიერებაა?
- სოსო დაბნეულია.
- მთელი შვიდი ტომი, 3200-ზე მეტი გვერდი.
- ბრწყინვალე, ბრწყინვალე წიგნი.
- საუკეთესოთა შორის საუკეთესო ანდეს სოსოს.

სოსო: (წამოდგება, მშვიდი და განონასწორებულია) ”დაკარგული დროის ძიებაში”, პრუსტი, 3200 გვერდი წმინდა ლიტერატურა, ნამდვილი ლიტერატურა. რამდენი წელი დაგვჭირდება, რამდენი სასიამოვნო წელი – ყოველ დილით ადრე ავდგები, ყავას მოვიდულებ, წვენს დავინურავ, ვისაუზმებ, პერანგს გავიუთოებ და სამსახურში წავალ. ყოველ დილით ქუჩაში გამვლელებს გავუღიმებ, თანამშრომლებს თბილად მოვიკითხავ, ჩემს სამუშაო მაგიდასთან დავჯდები და საქმეში ჩავიძირები. ყოველდღე, 4 წელი, ან იქნებ 5 – ვიქნები ბედნიერი. არ შემანუხებს არც სიცხე, არც სიცივე, არც უძილობა. ყოველდღე თავს ვიგრძნობ კაცად, რომელიც კარგ საქმეს აკეთებს. სამი კი არა, შვიდი შვილი მეყოლება – შვიდი გადასარევი წიგნი. ეს იქნება ჩემი ცოლიც, შვილიც, ოჯახიც, სექსიც და ყველაფერი დანარჩენი. ვივლი მშვიდი და ბედნიერი და კაცი არ იქნება საქართველოში ჩემზე ბედნიერი, კაცი არ იქნება...

(უცებ წყვეტს ლაპარაკს. ქვემოთ იხედება, შარვლის უბისკენ)

- უცებ
- ისევე უცებ, როგორც ყველაფერი სოსოს ცხოვრებაში
- უცებ
- სოსოს აუდგა.

დასასრული